საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

26/04/2024

MES 6 24 0000471599

„ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საავტორიზაციო ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №1098/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 24 აპრილის №460692 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საავტორიზაციო ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №1098/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით შემდეგი საავტორიზაციო ფორმები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე წარსადგენი განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების

ზღვრული რაოდენობის გაზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ) ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად.

2. ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ,,ბ" ქვეპუნტით გათვალისწინებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით წარსადგენი განაცხადის ფორმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე წარსადგენი განაცხადის ფორმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ,,ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებზე, რომელთა ფარგლებშიც გამოცემულია ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმის" ნაცვლად გამოყენებულ იქნეს „ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საავტორიზაციო ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №1098/ი ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმა ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული რედაქციით.

4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა